ელექტრონული ტენდერი

ქ. ხობში ყოფილი საცურაო აუზის შენობის პირველი სართულის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე

ტექ ნ იკ უ რი დო კუმ ენტა ცია

2 0 1 4 წ

ს ა რ ჩ ე
ვ ი

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

4. დამატებითი ინფორმაცია

5. დანართი N1 (რეკვიზიტები)

6. დანართი N2 (ხარჯთაღრიცხვა)

7. დანართი N3 ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ

8. დანართი №4 სამუშაოთა წარმოების კალენდარული-გეგმა გრაფიკი .

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესაბამისად.
იხილეთ: http://procurement. gov. ge/

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნის თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ცნობა:
2.1.2 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ
2.1.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:
პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი №1 -ის მიხედვით:
ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი №2 -ს შესაბამისად.
გ) დანართი N4 ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ

დ) სამუშაოთა წარმოების კალენდარული-გეგმა გრაფიკი დანართი №5 შესაბამისად.

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თარიღს (სტატუსი: წინადადების მიღება დაწყებულია).
2.3 ამ პუნქტის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების, დედნის სახით ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლები, შესაძლებელია შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ იქნეს მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღეში.
2.4 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენა (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.
ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
2.5 ანგარიშსწორების პირობები

2.5.1 ანგარიშსწორება აქტისა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

2.6 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.6.1 სამუშაოთა შესრულების ვადები

სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2.7. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები**:**

2.7.1 მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალის ხარისხის, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა, მოწყობილობა და სამუშაო.

შენიშვნა: ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია.

2.8. პრეტენდენტმა 15 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს 100% -იანი წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტია დარჩენილ სამუშაოზე, რომლის ვადაც 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

ხელშეკრულების პროექტი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.)

ქ.ხობი 2014 წელი

ერთი მხრივ ----------, წარმოდგენილი ----------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და და მეორეს მხრივ ---------- პ რ ე ტ ე ნ დ ე ნ ტ ის (დას ახ ე ლ ე ბ ა) სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA……..) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში- ,,ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი”- პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე”. ,,კვირა”, ,,თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. ,,სამუშაო”- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა” – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ,,შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა” რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.8. ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ – სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მინიმალური საგარანტიო ვადების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შევსებული საგარანტიო ვადები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ---------- სამუშაოების შესყიდვა (კლასიფიკატორის კატეგორია: ----------)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----------.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიწოდებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამებოდეს სამშენებლო

ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.
4.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს სამუშაოს მიღებიდან,რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

5. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ნაწილობრივი/საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ელექტრონული ვერსია) , ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 დღის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ღირებულებაზე გაცემული ავანსის გამოქვითვით;

5.3. საბოლოო ანგარიშსწორებას ,,შემსყიდველი“ განახორციელებს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ელექტრონული ვერსია) , ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გატარების შემდეგ 30 დღის განმავლობაში.

5.4. ავანსის სახით მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30% ჩაერიცხება

გარანტიის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

5.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.

5.6 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანამად :

$$z = \frac{A * (X\% - Y\%)}{70-20}$$

z= არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში

A= წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას

X= წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისათვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში, ეს მონაცემები არ აღემატება 70 %-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

5.7.პრეტენდენტმა 2014 წლის 15 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს 100% -იანი წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტია დარჩენილ სამუშაოზე, რომლის ვადაც 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი - ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი.

6.2. ხელშეკრულების საგნის მიღება ფორმდება შესაბამისიმიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების 6 აქტის შედგენამდე, მიმწოდებელმა უნდა

უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირების მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

6.3. საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ და კვალიფიცირებული ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდება: 1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე, 2. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა, 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

6.4. თუ საექსპერტო დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მოცულობა, ხარისხი და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ან ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა შესრულებული სამუშაოები შეაფასა წუნით მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა.

6.5. წუნდებული სამუშაოების აღმოფხვრა დასტურდება 6.2. და 6.3. პუნქტებით დადგენილი წესით.

6.6. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

7. სამუშაოების შესრულების ადგილი და ვადა

7.1. სამუშაოების შესრულების ადგილია ----------

7.2. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ----------პერიოდი.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ხელშეკრულების საგანი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

8.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.4.2. შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;

84.3. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული კონტროლის ჯგუფი. რომელთა შემადგენლობას შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს წინასწარ.

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

9.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

10.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 30 დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07 %-ის ოდენობით.

10.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

10.5. თუ კი მიმწოდებელი 10.3. ,,ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

10.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.7 ამ მუხლის 10.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია

აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე .

11.2. ხელშეკრულება მოქმედებს ----------

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

11.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

11.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით ასეთი

სამუშაოებისათვის დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

14.2. სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

14.3. ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

14.4. ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

14.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

14.6. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიღებული შეტყობინების მიღებიდან შეტყობინებაში მითითებულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ან სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე ხარვეზის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

14.7. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

14.8. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.10. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი

4. დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. ხობი, მუნიციპალიტეტის გამგეობა, ც. დადიანის №185
საკონტაქტო პირი კ. კობახიძე (595-38-91-61)

დანართი N 1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

დანართი 2.

სამშენებლო სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.		ღირებულება /ლარი/	
			საპროექტო მონაცემებზე	განზ. ერთეულზე	საპროექტო მონაცემებზე
1	3	4	6	7	8
	თავი-I დემონტაჟი				
1	**დაზიანებული ბათქაშის მოხსნა დატვირთვა**	**100 მ²**	**3,5245**		
2	**ოთახებში ჭერზე და კედლებზე არსებული პლასტიკატის დემონტაჟი**	**100მ2**	**2,1291**		
3	**კედლებიდანდაზიანებული კაფელის ჩამოყრა დატვირთვა**	**100 მ²**	**0,657**		
4	**იატაკიდან დაზიანებული მეტლახის აყრა დატვირთვა**	**100 მ²**	**0,354**		
5	**კარის ბლოკის დემონტაჟი 4 ცალი**	**100 მ²**	**0,0968**		
6	**დაზიანებული ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი 11ც**	**100 მ²**	**0,3125**		
7	**სამშენებლო ნაგვის გატანა 10კმ-ზე**	**ტ**	**5,70**		
	თავი-I ჯამი				
	თავი-II მონტაჟი				
1	**მეტალოპლასმასის კარის ბლოკის მონტაჟი 2 ც**	**100 მ²**	**0,0378**		
	მეტალოპლასმასის კარი ერთფრთიანი	მ²	3,78		
2	**მეტალოპლასმასის ფანჯრის ბლოკის მონტაჟი 11 ც**	**100 მ²**	**0,3125**		
	მეტალოპლასმასის ფანჯარა თეთრი სისქით 5,2 სმ ორმაგი მინით	მ²	30,78		
3	**ლამინირებული კარის ბლოკის მოწყობა 4 ცალი**	**100 მ²**	**0,07560**		
	ლამინირებული კარი	მ2	7,5600		
4	**კედლების მაღალხარისხოვანი მობათქაშება ქვიშა-ცემენტის ხსნარით**	**100 მ²**	**3,525**		
	ქვიშა-ცემენტის ხსნარი	მ3	8,39		
5	**პლასტიკატის შეკიდული ჭერის მოწყობა**	**100მ2**	**0,3437**		
	პლასტიკატის შეკიდული ჭერი პროფილებით	მ2	34,37		
6	**ოთახებში ჭერის მოწყობა თაბაშიმუყაოს ფილით**	**100მ2**	**2,2994**		
	თაბაშირმუყაოს ფილა თავისი პროფილებით	მ2	229,94		
7	**ჭერების დამუშავება და მაღალხარისხოვანი შეღებვა**	**100 მ2**	**2,2994**		
	საღებავი	ცალი	75,88		
	ფითხი	ცალი	211,54		
8	**შიდა კედლების დამუშავება და მაღალხარისხოვანი შეღებვა**	**100 მ2**	**5,8875**		
	საღებავი	კგ	194,29		
	ფითხი	კგ	312,04		
9	**არსებული ლითონის კარის შეკეთება 2 ცალი**	**100 მ²**	**0,0900**		
	რკინის ფურცლოვანა	მ2	9,00		
	კუთხოვანა	გრძ/მ	12,00		
	საკეტი	ცალი	2,00		
10	**ლითონის კარების შეღებვა**	**100 მ2**	**0,1880**		
	საღებავი	კგ	6,20		

11	**კედლებზე 1,9მ-ის სიმაღლეზე, კაფელის ფილების აკვრა სველ წერტილებში**	**100 მ²**	**1,2313**		
	დუღაბი	მ3	1,85		
	კაფელი	მ2	126,82		
12	**მეტლახის ფილების დაგება სველ წერტილებში**	**100 მ²**	**0,3537**		
	კერამიკული ფილა	მ2	36,08		
	წებოცემენტი	კგ	176,85		
13	**იატაკის მოწყობა ბეტონით სისქით 50 მმ (149,67მ2)**	**100 მ³**	**0,0748**		
	ქვიშა-ცემენტის ხსნარი	მ3	7,6332		
14	**იატაკზე ლამინირებული 12 მმ პარკეტის იატაკის მოწყობა, ღრუბლის საფუძველზე, პლინტუსებით**	**100 მ²**	**1,143**		
	ლამინატი	მ2	116,59		
	ლამინატის ქეჩა	მ2	116,59		
	ლამინატის პლინტუსი	მ	99		
15	**ოთახის სანათის მონტაჟი**	**10ც**	**0,2000**		
	ელ.კაბელი 2X2,5	გრძ/მ	300,00		
	ამომრთველი A-63	ცალი	11,00		
	შტეფსელი	ცალი	16,00		
	ჩამრთველი	ცალი	10,00		
	ოთახის სანათი	ცალი	20		
16	**ხელსაბანის მოწყობა**	**კომპლ.**	**2,00**		
	ხელსაბანი	კომპლ.	2,00		
	სიფონი	ცალი	2,00		
	ონკანი	ცალი	2,00		
17	**უნიტაზის მოწყობა 2ც**	**კომპლ**	**2,00**		
	უნიტაზი აზიური ჩამრეცხი ავზით	კომპლ.	2,00		
18	**ტრაპის და აბაზანის წყალშემრევის მოწყობა**	კომპლ.	**10,00**		
	ტრაპი	კომპლ.	10,00		
	წყალშემრევი	კომპლ	9,00		
19	**მიწის გათხრა მილის ჩასადებად მიყრით**	**100მ**	**0,07**		
20	**საკანალიზაციო მილის მონტაჟი მილის ჩადება**	**100მ**	**0.37000**		
	მილი 100მმ	გრძ/მ	45,00		
	მუფთა 100მმ	ცალი	12,00		
	მუხლი 100მმ	ცალი	8,00		
	სამკაპი	ცალი	4,00		
21	**კანალიზაციის პლასმასის მილის და ფასონური ნაწილების მოწყობა**	**გრძ/მ**	**30,00**		
	მილი 50მმ	გრძ/მ	50		
	გადამყვანი 50X100	ც	9		
	სამკაპი 100X50X100	ც	4		
	მუფტა 50მმ	ც	10		
	სამკაპი 50X50	ც	10		
	მუხლი 100X100 90	ც	3		
	მუხლი 50X50 90	ც	10		
22	**წყლის მილების პლასტმასის ფასონური ნაწილების მონტაჟი**	**გრძ/მ**	**50,0**		
	მილი 20მმ	ცალი	50		
	სამკაპი 20X20X20	ცალი	4		
	მუხლი 20X20	ცალი	80		

	მუფთა 20X20	ცალი	7		
	სამაგრები	ცალი	20		
	არსებული წყლის ავზის შეკეთება და ვენტილის მონტაჟი	**ცალი**	**3,00**		
	ვენტილი 20 პლასტმასის	ცალი	4		
23	ტენი	ც	1		
	ჯამი თავი II				
	სულ ჯამი				
24	**ტრანსპორტირება**				
	ჯამი				
	ზედნადები	**%**	**10**		
	ჯამი				
	გეგმიური	**%**	**8**		
	ჯამი				
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები	**%**	**3**		
	ჯამი				

აუცილებელი მოთხოვნა:

1. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯები მითითებული პროცენტის შესაბამისად, აღნიშნული თანხის გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

1.ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ

N	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ღირებულება	სამუშაოების ღირებულება	დასრულების თარიღი
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					

აუცილებელი მოთხოვნა:

1.ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში (2011წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 ნოემბრამდე) შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 80000 (ოთხმოცი ათასი) ლარის მოცულობის, რაც უნდა დადასტურდეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

ყოფილი საცურაო აუზის შენობის პირველი სართულის სარემონტო სამუშაოები

კალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	საპროექტო მონაცემებზე	კალენდარული დღეები																															
				1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32
	თავი-I დემონტაჟი																																		
1	დაზიანებული ბათქაშის მოხსნა დატვირთვა	100 მ²	**3.525**																																
2	ოთახებში ჭერზე და კედლებზე არსებული პლასტიკატის დემონტაჟი	100მ2	**2,1291**																																
3	კედლებიდანდაზიანებული კაფელის ჩამოყრა დატვირთვა	100 მ²	**0,657**																																
4	იატაკიდან დაზიანებული მეტლახის აყრა დატვირთვა	100 მ²	**0,354**																																
5	კარის ბლოკის დემონტაჟი 4 ცალი	100 მ²	**0,0968**																																
6	დაზიანებული ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი 11ც	100 მ²	**0,3125**																																
7	სამშნებლო ნაგვის გატანა 10კმ-ზე	ტ	**4,70**																																
	თავი-II მონტაჟი																																		
1	მეტალოპლასმასის კარის ბლოკის მონტაჟი 2 ც	100 მ²	**0,0378**																																
2	მეტალოპლასმასის ფანჯრის ბლოკის მონტაჟი 11 ც	100 მ²	**0,3125**																																
3	ლამინირებული კარის ბლოკის მოწყობა 4 ცალი	100 მ²	**0,07560**																																
4	კედლების მაღალხარისხოვანი მობათქაშება ქვიშა-ცემენტის ხსნარით	100 მ²	**3.525**																																
5	პლასტიკატის შეკიდული ჭერის მოწყობა	100მ2	**0,3437**																																
6	ოთახებში ჭერის მოწყობა თაბაშიმუყაოს ფილით	100მ2	**2,2994**																																
7	ჭერების დამუშავება და მაღალხარისხოვანი შეღებვა	100 მ2	**2,2994**																																
8	შიდა კედლების დამუშავება და მაღალხარისხოვანი შეღებვა	100 მ2	**5,8875**																																
9	არსებული ლითონის კარის შეკეთება	100 მ²	**0,0450**																																
10	ლითონის კარების შეღებვა	100 მ2	**0,1880**																																
11	კედლებზე 1,9მ-ის სიმაღლეზე, კაფელის ფილების აკვრა სველ წერტილებში	100 მ²	**1,2313**																																
12	მეტლახის ფილების დაგება სველ წერტილებში	100 მ²	**0,3537**																																

13	იატაკის მოწყობა ბეტონით სისქით 50 მმ (149,67მ2)	100 მ3	0,0748																			
14	იატაკზე ლამინირებული 12 მმ პარკეტის იატაკის მოწყობა, ღრუბლის საფუძველზე, პლინტუსებით	100 მ2	1,143																			
15	ოთახის სანათის მონტაჟი	10ც	0,2000																			
16	ხელსაბანის მოწყობა	კომპლ.	2,00																			
17	უნიტაზის მოწყობა 2ც	კომპლ	2,00																			
18	ტრაპის და აბაზანის შემრევის მოწყობა	კომპლ.	10,00																			
19	მიწის გათხრა მილის ჩასადებად მიყრით	100მ	0,07																			
20	საკანალიზაციო მილის მონტაჟი მილის ჩადება	100მ	0.37000																			
21	კანალიზაციის პლასმასის მილის და ფასონური ნაწილების მოწყობა	გრძ/მ	30,00																			
22	წყლის მილების პლასტმასის ფასონური ნაწილების მონტაჟი	გრძ/მ	50,0																			
23	არსებული წყლის ავზშის შეკეთება და ვენტილის მონტაჟი	ცალი	3,00																			